კვირა, 5 ნოემბერი, 1917 წ.

კანტორა „სინათლის" ადრესი: ტფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 35 კაპ.

რედაქციის ადრესი: [illegible] ქუჩა, № 13. ტელეფონი 18-17.

ეშმაკის მათრახი

№ 45

1917

რევოლიუცია: აბა რას ვიფიქრებდი, თუ რუსეთი ასე მოუმზადებელი იყო ჩემს შესახვედრათ!

თფილისი, 6 ნოემბერი. 1917 წ.

ხადღეისო. „თუ თავი შენი თან გახლავს, ღარიბათ არ იხსენები“-ო, უთქვამს ბრძენს.

ჩინებული ნათქვამია!

და ყოველგვარ ჩინებულ ნათქვამს აგრეთვე ჩინებული გამგონეც სჭირია!

არსებითად ამ ბრძნულ თქმულებას... ორის თვალთახედვის წერტილის ისრით შეგვიძლია შევხედოთ: ჩვენ შეგვიძლია მსჯელობა ვიქონიოთ ნამდვილი, ფიზიკური თავის თანხლებისა და აგრეთვე თავის, როგორც ასეთის, შესახებ.

ყველა რევოლიუციასა აქვს ისეთი ხანა, როცა მკითხველთა და მოაზრეთა უმრავლესობა პირველი თვალთახედვის წერტილზე სდგას და ამ ბრძნულ თქმულებას უკვდავი შოთა რუსთაველისას ხსნის „ნამდვილი თავის“ ტარების, ანუ თანხლების მიხედვით.

ვის არ მოეხსენება, რომ საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ ამ საკითხის გადასაჭრელათ ცალკე ტეხნიკური საშუალებაც მოიგონა. ეს საშუალება გახლდათ გილიოტინა. აღნიშნული იარაღი პირდაპირ სჭრიდა „თავისა შენის“ თანხლების საკითხს და ეს გადაჭრა იმდენათ განმარტივდა და გაიფდა რომ „ჩირადაც“ აღარავინ აფასებდა.

რუსეთის რევოლიუცია, როგორც უფრო გაღრმავებული, აღნიშნულ ბრძნულ თქმულებასაც ღრმათ ჩაუკვირდა. აქ „თავისა შენის თანხლების“ შესახებ უფრო კოლექტიური შეხედულებაა გამეფებული. ეს შეხედულება არ არის საერო, არამედ სამხედრო. სარევოლიუციო კანონით რასაკვირველია ნებადართულა „თავისა შენის თანხლება“ ყოველგვარ შემთხვევაში, მაგრამ რევოლიუციონურ ჯარს, თუ მცირე საბაბი მიეცა, ვერავინ დაუშლის სამუდამოთ აგიკრძალოს „თავისა შენის თანხლება.“ მართალია თვით საშუალებანი ამ კითხვის გადასაჭრელათ რუსეთში უფრო პრიმიტიულია და გილიოტინის მახვილი დანის მაგიერობას ჩლუნგი ქუჩის ქვა, თუ კეტის ნამტვრევი ასრულებს, მაგრამ ძირითადი პრინციპი დაცულია.

ჩვენდა სანუგეშოთ უნდა ითქვას ისიც, რომ რაც დრო გადის, რევოლიუციონური ჯარი თანდათან ეჩვევა ამ საკითხის გადაჭრას სხვა და სხვა ოსტატურათ მოგონილ საშუალებებით. შეიძლება შორსაც არ იყოს ის ნეტარი დრო, როცა გაუმჯობესებული ძველი ფრანგული იარაღი საბოლოოთ გამოარკვევს „თავისა შენის თანხლების“ საკითხს. ზოგიერთ, უფრო ორტოდოქსალურ ფრთას რევოლიუციონურ კლასებისას, ჩქარის ნაბიჯით მივყევართ ამ ტეხნიკის განვითარებისაკენ.

ძველ—ახალი

ჩვენი ქვეყნის წინა დროში,
(სად ვერ სძლევდა სინდისს გროში)
როცა ხალხი მტერთან ბრძოლას
არ არჩევდა მთვრალი ძრწოლას,
მაშინ შობდა ერი გმირებს,
ისეთ ისტორიულ პირებს,
ვით **თორნიკე, გიორგისა** *).
ეს ამბავი მრავალ წლისა
მე იმიტომ მომაგონდა
რომ განძრახვა სხვა რამ მქონდა:
აწმყო დროში, არ მეგონ,
თუ ეს ხალხი (ოქროს მონა)
კვლავ აღზრდიდა ერის სარდლებს
მოხსენებულ გმირთა ბაღლებს **)
არა მარტო კუთხე ერის,
მრავალ ქვეყნის, მრავალ ფერის,
ვინც მტერთაგან მონადენი
ბრბოთა რისხვა გადიტანა,
ვინც მჩაგვრელთა ზარი დასცა
და ჩაგრულთა წყლული ჰბანა,
მშრომელთა და ტვირთ მძიმეთა
შეჯერთა ეს ქვეყანა
დემოკრატთა **თორნიკობა**
არ შეფერის იმას განა?

—

ვინაც კიდევ სიყრმიდანვე
მტერთან ბრძოლა განიზრახა,

---

*) ერისთავი და სააკაძე.

**) თუ არ გეცდები, აწინდელი წაგიდგებს თითო ადლებს.

ეშმაკი.

ვინაც თვისი იდეალი
ბეჩავ, მშრომელ ხალხში ნახა,
ვინც იმთავით გამოვიდა
ცხად უსწორო ბრძოლის ველზე
სადაც მუდამ მოელოდა:
ხუნდი ფეხში, თოკი ყელზე,
ვინაც ყველა დაბრკოლება
მამაცურათ გადიტანა
ვის სიბრძნესთან, რაინდობაც
განუყრელათ ახლავს თანა,
ვისზეც ქვეყნის ლაპარაკი
საამაყოთ გვესმის ხშირათ,
ვინაც ხალხმა მართლა დასვა
თავის ქვეყნის ოქროპირად *),
დემოკრატთა საკაძეთ
ვფიქრობ იგიც გამოდგება
თუ ამ გვარი შეფარდების
მე ეშმაკმა მომცა ნება.
ვითა ბრიყვმა, ამ ბელადებს
ერთი რამე უნდა ვსთხოვო:
მკითხველთათვის სასაცილო
ეშმაკისთვის საუცხოვო:
ეს სარდლები მტერზე მისვლას
სხვა და სხვა გზით**) რო ამბობენ
შეერთებას გაურბიან
და ერთმანეთს არ უთმობენ
ჩვენ იმათი ლაშქრის კაცებს
სხვა და სხვა გზა აღარ გვინდა,
ვით მიზანი, გზაც ერთი გვაქვს,
ნათელი და სწორი, წმინდა.
დაე ამ გზით გაგვიძეხით,
ბელადებო, გასწით-წინა!
მაშინ ნახეთ თქვენი ლაშქრის
მტერზე მისვლა და ყიჟინა.

ბუტუნა

*) თუ სახეში არ მიგიდებთ
„საქართველოს“ „რუს ინგილოს“
ვინ უჯერის სარბს და ლაზოს
რაც რომ უნდა იზინზილოს.

**) დღევანდელი ბრძოლის პროტესს
მრავალი აქვს, ძმანო, გეზი,
და სარდალი ხელოვანი,
შტერზე რისხვით ანამრეზი
სხვა და სხვა მხრით უტევს ორგულს
სხვა და სხვა გვარ მახეს უგებს
და ნუ ვიწუენთ: ჯარის კაცი
ხშირად ზრახვას თუ ვერ უგებს.
დღეს ბატონობს პოლიტიკა,
ხვალ ტაქტიკა, სტრატეგია...
ზოგჯერ სრული გამარჯვება
უკუქცევის შედეგია.
იქ ერიში სწევეტავს საკითხს
და სტეხს ორგულს ჯიქურ ძეერვა,
მაგრამ ზოგჯერ უმჯობეს არს
თავის მოგლა, ფრთხილი ზვერვა,
ამიტომაც, მეგობარნო,
სხვა და სხვა გზა ნუ გვადონებს
თუ კი ბრძოლის ხელმძღვანელი
თვით სოლომონს მოგვაგონებს.

ეშმაკი.

ჰატარა ფელეტონი

ორი სტუმარი.

გული ქართლისა, ქალაქი გორი განსაკუთრებულ ფაციფუცშია.

მორწმუნე ქართველობა დღეს, დილის მატარებლით მოელის მისს უწმინდესობას, ახლად-არჩეულ კათალიკოს-პატრიარქს — კირიონ II-ს, ხოლო სოციალისტური ნაწილი ქალაქისა, დღესვე, შუადღის მატარებლით, მოელის საყვარელ დეპუტატს და დღეს ლექტორათ მოწვეულს აკაკი ჩხენკელს.

დამერწმუნებით, რომ ჰქონია ხალხს მიზეზი ფაცა-ფუცისა და მღელვარებისა.

დილის ათი სათიდან უკვე იწყო დენა სადგურისაკენ ძველებური ჩიხტი-კოპით მორთულ ქართველ დედათა ჯგუფებმა. ნელის, მაგრამ დარბაისლური ნაბიჯით მიემართებიან ისინი სადგურისაკენ.

კენ, სადაც ერთი საათის შემდეგ უნდა ჩამოდგეს სალონ-ვაგონი მისი უწმინდესობის, კირიონ მეორისა. აქა-იქ მამაკაცებიც მოსჩანან, მაგრამ ისინიც უფრო ხნიერნი, დინჯი და დარბაისელნი. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ პატივისმცემელთა უმრავლესობა იმ ჰასაკში მდგომთაგან შესდგება, რომელთაც უკვე გადაიარეს ამქვეყნიური შფოთიანი ცხოვრების უღელტეხილი და დღიურ საკითხთა წესრიგში საკითხი იმ ქვეყნიური სასუფევლის შესახებ პირველი აქვთ გამოჭიმული.

აქვეა რამოდენიმე ნაციონალ-დემოკრატიული ინტელიგენცია და აგრეთვე ოფიციალური წარმომადგენელი ქალაქისა, ახლად არჩეული მოურავი გორისა სერგო I. სასოება და კრძალვა ძვირფასი სტუმრის წინაშე უკვე გამოჰკრთის დამსწრეთა სახეზე, თუმცა მატარებელი ეს ესარი მხოლოდ გრაკალის სადგურიდან უფლისციხისაკენ გამოემართა.

— ნეტავ რანაირია ყოვლად წმინდა კათალიკოსი? — ცნობის მოყვარეობით შეეკითხა კნეინა დარეჯანი თავის მეზობელ მთავარდიაკონს.

— რა მოგახსენოთ. დაბალი და მსხვილი კაციაო, ეგრე გამიგონია.

— მოხუცია?

— არც იმდენათ. ჯეელი შეხედულება უნდა ჰქონდეს.

— ასეთი დიდებული პირები არა ხუცდებიან. ავტორიტეტულად შენიშნა ერთმა ინტელიგენტმა

— ნეტავ ერთი ჩქარა მოვიდეს, ვნახოთ მაინც ჩვენი მოჭირნახული,-უიმედოთ ჩაილაპარაკა მეორე მოხუცმა კნეინამ.

ხალხი სადგურის წინ ჩამწკვრივდა. უკვე მატარებელმაც დაიკივლა და ნელის ზლაზვნით ჩამოწვა სადგურის წინ. ყველას თვალი სალონ—ვაგონს მიეჭდო. ქალაქის თავი და მოძღვართა უხუცესი პირველნი ავიდენ ვაგონის კიბეზე ლოცვა კურთხევის მისაღებათ. ყოვლად-სამღვდელო, უწმინდესი კათალიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოისა კირიონ II, კარებში გამოეგება მათ. ქალაქის თავი პირველი ემბორა მას კურთხეულ ხელზე და სიტყვის თქმად მოემზადა, მაგრამ დახეთ მის განცვიფრებას: კათალიკოსი თანახმად ახალი კანონისა საერო ტანისამოსში, მორთული გამოდგა. მას წვერი სუფთად ჰქონდა მოპარსული და ნიკაპის კენწეროს მხოლოდ პატარა ბულანჟე უმშვენებდა. მას სადღაც ენახა ეს სახე, მაგრამ კარგათ ვერ მოეგონებია. სასულიერო ექსტაზით შეპყრობილი ამხანგი სერგო გორის მოურავი მხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოერკვა. ის დარწმუნდა, რომ მის წინაშე იდგა უცილობლად დეპუტატი აკაკი ჩხენკელი და არა კათალიკოსი კირიონი.

აკაკი ჩხენკელი განსაკუთრებულის განცვიფრებით გასცქეროდა შესახვედრათ მოგროვილ ხალხს. რამდენ მგზავრია მას და არსად ასეთი განსაკუთრებული შემადგენლობის ხალხი არ დახვედრია. მოხუცი თავხურიანი ქალები, დიაკვნები, მთავარ-დიაკვნები და ნაციონალ-დემოკრატიული ინტელიგენტები იშვიათად გამოერევიან მის მსმენელებში. წითელ დროშებსა და მუშა ხალხს მიჩვეულს ძლიერ ეუცხოვა საეკლესიო დროშების ფრიალი და სასულიერო ელფერი შეხვედრისა. ის ჩვეულებრივი სიდინჯით ჩამოვიდა ბაქანზე და ნელის ნაბიჯით გაემართა ქალაქისკენ. მნახველნი ცნობის მოყვარეობით აცილებდენ თავისს საყვარელ კათალიკოს-პატრიარქს, თუმცა მისი საერო ტანთსაცმელი ცოტა არ იყოს ეხამუშებოდა მორწმუნეთა თვალს.

ორ სითზე სადგურის უბანში მუშათა რაზმები ჩამოდგენ. გამოჩნდა წითელი დროშებიც. მარსელიოზის სიმღერა, თუმცა არეულათ, მაგრამ მაინც გაისმის და მომავალ მატარებლის გუგუნს უერთდება. რამოდენიმე ნაფიცი ორატორი უკვე მზათ არის, რომ საყვარელ სტუმარს, დეპუტატ აკაკი ჩხენკელს შესაფერი სიტყვით მიმართოს და გორის პროლეტარიატის ვითარება გააგებიოს. მილიციონერები ჩვეულებრისამებრ წესრიგს იცავენ.

აი მატარებელიც ჩამოდგა. ხალხი უფრო მჭიდროთ შემოერტყა სალონ ვაგონს და ისწრაფის შიგ შეჭრას. სადგურის წინ მყისვე აღიმართა ხელოვნური ტრიბუნა, რომელზედაც ძვირფასმა სტუმარმა პირველი სიტყვა უნდა წარმოსთქვას. რამოდენიმე მკლავ-მაგარი მუშა უკვე შევიდა ვაგონში და ხელში აყვანით ჩამოსვეს პირველი სტუმარი გორისა და ტრიბუნაზე მოათავსეს...

მაგრამ დამსწრეთა გაოცებას საზღვარი არა აქვს. აკაკი ჩხენკელი მათ წარმოდგენილი ჰყავდათ

ერის კაცად, აქ კი მათ წინაშე იდგა მღვდელთ მთავარი, მოხუცი და წვერ ხელ-უხლები.

— ეს სხვა ვინმე უნდა იყოს!- კრძალვით წარმოსთქვა ერთმა უფრო გაბედულმა პროლეტარმა და ეჭვის გველი დაჰბადა მსმენელთა გულში.

ყოვლად სამღვდელო კათალიკოზ-პატრიარქი სრულიად საქართველოისა კირიონ მეორე, აღტაცებით შესცქეროდა სარწმუნოებრივი გრძნობით აღფრთოვანებულ გორის დემოკრატიას. მას ძლიერ სასიამოვნოთ ჰქონდა წითელ დროშათა ფრიალი, მაგრამ როგორც ევერიის ეკლესიის მამას გულს ულრღნიდა ის გარემოება, რომ არც ერთი მღვდელი, არც ერთი დიაკონი მას არ შეეგება; რომ აქ, წითელ დროშასთან ერთად არ ღელავდა საეკლესიო დროშაც.

კათალიკოსიც ნელის ნაბიჯით გაემგზავრა გორისაკენ და აღტაცებულ მხილველთ ძლიერ აკვირვებდა მისი ასეთი მორთულობა, ვინ იდან აკაკი ჩხენკელი მათ სხვაფერ ჰყავდათ წარმოდგენილი.

მორიელი.

ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲐ

აღმეძრა კვალად სურვილი
დავწერო ერთი შარადა.
(ამ დარგში კოლო-ეშმაკმა
თუ არ მცნეს მეტიჩარადა.)

—

ჯერ სიტყვის კავშირს მივაწერთ
ბოლოდან ერთსა ასოსა,
ქორონიკოში ორმოცად
თავი რომ დაიფასოსა.

—

მერე რაც გვინდა იგი მთელს
ქვეყანას მოდებულია
ყოვლის შემძლეა და პაწა
ღმერთადაც წოდებულია.
დღევანდელ წარმოებისა
ის არის საფუძველია,
და შემდეგშიაც კარგა ხანს
იქნება უეჭველია.
რაზედაც ვამბობ მკითხველო,
ვგონებ რომ უკვე იცია,
მაშ ამის წინა ნახევარს
ჩვენ ვუქნათ რეკვიზიცია.

—

ხომ იცით მკის დროს ყანებში
რომ ჰკვრენ ულოთი კონებსა,
ჩვენში მათ სახელს (მრავლობითს)
ყველა კი მოიგონებსა.
ამ სიტყვის ბოლო ანბანი
რადგანაც ჩვენთვის მეტია,
ამიტომ წაშლაც იმისი
ადვილი გასამეტია.

—

აწ იარაღი გვჭირდება
სასოფლო, რკინეულია,
ნუ ფიქრობთ იყოს წერაქვი
ან წალდი ან და ცულია.
თიბათვის დამდეგს ყოველთვის
მას ელესება პირია
და იქ ელვარებს სადაც რომ
ნორჩი ბალახი ხშირია.
მაშ ესეც რიგზე დავსწეროთ
არ უნდა ლაპარაკია
ვუფრთხილდეთ წინა ანბნის მეტს
არ შეხვდეს ფათერაკია.

—

აქ ერთი ასოც დავსწეროთ
(ჩქარა, თათარიახანდა),
სხვა, გარდა მეთერთმეტესი,
შარადას ავნებს, არ ქნათა.

—

ეხლა გამომყეთ, შევაღოთ
ეკლესიისა კარია,
(არვინ დაგვიშლის თუ უხვად
გაგიღეთ საჩუქარია),
იქ ერთი დიდი წიგნია
ქრისტიანობის ბურჯია,
მას „სჯიან“ ანათემათი
ვინ ხდება მისი ურჩია
ამ წიგნის შუა გაჭრაა
პირდაპირ ჩვენი ვალია,
მხოლოდ მის წინ ნაწილზე

კი ნუ დაგრჩებათ თვალია.
ის ხუცებს ჰქონდეს, ჩვენ, ბოლო
საქმე არ არის ძნელია
და მეტი აღარც გვექნება
სხვა რამე საძებნელია.
ვანებოთ თავი წერასა, შარადა უკვე მთელია,
გავიგოთ მხოლოდ თუ იგი რა აზრის გამომთქმელია.
რუსეთის მცხოვრებთ მესსიად ყავთ მიჩნეული იგია
და საიმისოც ყოველგან იწყება თადარიგია.
ის უნდა გახდეს რუსეთის ბატონ-პატრონი სრულია
და იმის ხსნისთვის გადადგას ნაბიჯი გაბედულია.

კახი.

მუხის თავები

გაზეთ „საქართველოს“ მოჰყავს „ეროვნულ დემოკრატიული“ გაზეთის (იჩვენი ქვეყანას) აზრი. სხვათა შორის აი იმ „აზრის“ ნაწილი.

„დაე საქართველომ იგრძნოს, რომ ჩხეიძე და წერეთელი, რომელთაც მან ნანა უმღერა, მისი ჭირმშობილები არიან. რომ მისთვის სამსახურს ეწევიან...“

მაგარი შუბლი ალბათ მაშინ იყო კარგი, როდესაც ადამიანები ყოჩებივით თავით იბრძოდენ, დღეს კი ეს გარემოება სრულიადაც არ ნიშნავს განსაკუთრებულ ღირსებას თავისას.

მართლაც სასაცილო არ არის ამ ბრძენი ხალხის აზრი? ნუ თუ ვერ გაიგეს, რომ საქართველო, (არა ის რომელსაც ნაციონალდემოკრატები აშენებენ და ამშვენებენ) ნამდვილი საქართველო, ცხრა მეათედი ქართველი ერისა გრძნობს, რომ მისი ღირსეული წარმომადგენლები მისთვის თავგანწირულ სამსახურს ეწევიან, რომ ყოველი მათი ტკივილი „ეს იმათი ტკივილიც არის“ დიახ, ამას გრძნობს მთელი საქართველო, გრძნობს და ყოველი თავისი მოქმედებით ამტკიცებს ამ თავისს სათუთ გრძნობას და

თუ თითო ოროლა მუხისთავოსანი ამას ვერა ხედავს და ვერა გრძნობს, დანაშაულათ ეს, ყოველ შემთხოვევაში, საქართველოს არ ჩაეთვლება.

დასაწყისი და დასასრული.

სულ რაღაც ხუთი—ექვსი თვის ამბავია.

სახალხო სახლში პირველი თავისუფალი სოციალ—დემოკრატიული კრება იყო. ჯურღმულებსა და სასტიკ კონსპირაციას მიჩვეული ხალხი უცებ ვერ შერიგობოდა ასეთ აშკარა, მრავალ რიცხვიან კრების ხილვას და მე პირველს უნებლიეთ მომიბრუნდებოდა ხოლმე უკან, კარებისაკენ, თვალები, როცა ახალი ვინმე შემოვიდოდა: ალბათ იმის შიშით, რა არის პოლიცია არ დაგვეცესო.

კრება წესდების პროექტს იხილავდა. პროექტის მომხსენებელი, ნოე რამიშვილი, მუხლ მუხლათ კითხულობდა მას და თითოული ახალი მუხლი ახალსა და ხალისიან კამათს იწვევდა. ჩვეულებისამებრ ჯერ ერთი ორატორი გამოსთქვამდა თავის აზრს, მერე მეორე გაიმორებდა უკვე გამოთქმულს, შემდეგ მესამე და წინაალმდეგ განმეორების კანონებისა ესენი უფრო ართულებდენ და აბნელებდენ გამოთქმულ აზრს.

ჯერი მიდგა **„პარტიის წევრობის“** საკითხზე. წესდების პროექტში ეს მუხლი მკაფიოთ იყო გარკვეული და სხვათა შორის ეწერა: პარტიის წევრათ არ მიიღება ის, ვისაც წარსული საეჭვო აქვსო და სხ. რასაკვირველია ამ მუხლმაც ჩვეულებრივი კამათი გამოიწვია და დიდი უმრავლესობა იმ აზრის მომხრე იყო, რომ წევრის მიღება განსაკუთრებული გარჩევით მომხდარიყო.

კრებაზე ჩემი ყურადღება ერთმა დაბალ—დაბალმა, თმა ხუჭუჭა ორატორმა მიიპყრო. იმან ყველა მუხლის შესახებ ილაპარაკა, უმთავრესად ის იმეორებდა სხვის ნათქვამს და წვრილი მჭახე ხმით ყურს ერთობ აწუხებდა. მე განსაკუთრებით ვ დევნებდი ყურადღებას იმდღინდელ კამათს და არ მიკვირებდა ამ თმაქუჩუჩა ორატორის ასეთი ენერგიული განმეორებითი მოღვაწეობა.

— ნეტავ თუ იტყვის საკუთარს რასმე ეს ყმაწვილი? შევეკითხე ჩემს მეზობელს.

— რომელი? ქვათაძე?

— არ ვიცი გვარი.. აი ახლა რო დაჯდ

— ის ქვათაძეა. ვინ იცის, შეიძლება თავის გამოურიოს, ღიმილით წარმოსთქვა ჩემმა მეზობელ

ის მართალი გამოდგა. სწორედ უკანასკნელ საკითხის დროს, განსაკუთრებული მღელვარება დაეტყო მის სიტყვას. კარგა ხანს ილაპარაკა იმის შესახებ, რომ პარტია ძლიერი იქნება, თუ მეტი წევრი ეყოლება და ძლიერება სასარგებლოა თვით პარტიისათვის...

—ამისთვის, ამხანაგებო,—განაგრძო მან,—მე წინადადება შემომაქვს პარტის წევრობაზე უარი არ ეთქვას ყოფილ შანტაჟისტებს და ექსპოპრიატორებს, ვინაიდან ისინი ძველმა უკუღმართმა პირობებმა წარმოშვა“.

დარბაზში უკმაყოფილების გუგუნი გაისმა. წარმოიდგინეთ მეც კი ავღელდი და ორატორის შესახებ ეჭვები დამებადა.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. კრებებზე ის ორატორი არსად მინახავს, ვინაიდან შემაძულა კრებები და აღარ დავდიოდი. კახეთში ყოფნის დროს გავიგე, რომ ის სართიჭალის კომისრათ დაენიშნათ. უნებლიეთ მომაგონდა მისი შეხედულება „პარტიის წევრობაზე“ და აქედან წარმოვიდგინე მისი შეხედულება კომისარობაზე. — საბრალო გარეთ—კახეთი, რა უბედობა სწვევია მეთქი! განვივლე გულში და ველოდი დასასრულს. ისიც გამოჩდა. გაზეთი „ერთობის“ მე 179 ნომერში სწერია:

„**ბოროტმოქმედი კომისარი**. თფილისის მაზრის კომისარს ამხ. ლ. ასათიანს ხშირად მოსდიოდა ცნობები სართიჭალის რაიონის კომისარის ათანასე ქვათაძის ბოროტმოქმედების შესახებ. ამხ. ლ. ასათიანმა ეს ამბავი აცნობა ს.-დ. საოლქო კომიტეტს. საოლქო კომიტეტმა სინამდვილის გამორკვევა დაავალა ამხ. ან. ჭიაბეროვს, რომელმაც კომისარ ლ. ასათიანთან ერთად ადგილობრივ გამოიძია საქმე და მდმოაჩინა, რომ ა. ქვათაძე მართლაც სჩადიოდა თურმე ბოროტმოქმედებას. ქვათაძე უკვე გააძევეს სამსახურიდან, მის საქმეს გაარჩევს აგრეთვე ს. დ. საოლქო კომიტეტი. დაითხოვეს სამსახურიდან აგრეთვე სართიჭალის სოფლის კომისარი და მისი მწერალი, რომელსაც ბრალდებათ ქვათაძის ბოროტ- მოქმედებაში მონაწილეობა“.

აი დასასრულიც. კიდევ კარგი თუ ეს დასასრული იქნება და კომისარი ქვათაძე სოციალ—დემოკრატიულ პარტიას კვლავ აღარ დაამძიმებს. რას იზამ ერთ პატარა კაცუნას იმდენი ტალახის მოცხება შეუძლია, რომ მის ჩამორეცხას ათი-თორმეტი წარჩინებულიც ვეღარ შესძლებს. ეს ერთი. მაგრამ შეიძლება კიდევ არიან სადმე სხვა ქვათაძეები. ისინი ამხანაგის ქურქში გახვეული მესაფლავენი არიან იმ პარტიის, რომლის სახელსაც მხოლოდ საქვათაძეოთ შეაფარეს თავი. გახადეთ ეს ქურქი მათ, და მზის სინათლეზე გამოიყვანეთ ასეთი ვაჟ—ბატონები.

გარეჯული ვანუა.

ჩემი „ის“.

ა. პ. ჩეხოვი.

(გუძღვნი ჩემს თავს.)

„ის“, როგორც ავტორიტეტულად ამტკიცებენ ჩემი მშობლები და უფროსები ჩემზე, უფრო ადრე დაბადებულა. მართალია თუ არა ისენი ამ შემთხვევაში, მე არ ვიცი, მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ მე არ მახსოვს ჩემი სიცოცხლის არც ერთი დღე, რომ მისი ძალა-გავლენა არ მეგრძნო, ან და მისი კუთვნილება არ ვყოფილიყავი. ის არ მშორდება არც დღე, არც ღამე; არც მე არასდროს გამოვლია გულში მისგან გავქცეულიყავი, მას დავშორებოდი. როგორც ხედავთ ჩვენი დამოკიდებულება მეტად მჭიდრო და შეურყეველია. მაგრამ ნუ შეგშურდებათ ჩვენი ასეთი კავშირი ახალგაზდა გასათხოვარ-მკითხველო ქალო! ამ გულის ამაჩუყებელ კავშირს უბედურების მეტი არაფერი მოაქვს ჩემთვის. ერთი რომ ჩემი „ის“ დღიან-ღამიან ჩემგან განუყრელია, არ მაძლევს ნებას რაიმე საქმეს მოვკიდო ხელი. ის მიშლის მე წერას, კითხვას სეირნობას, ბუნების სილამაზით ტკბობას .. აი თუგინდ ეხლა, მე ამ სტრიქონებს ვწერ და ის კი გვერდში მიდგას, ყოველ წამში იდაყვზე ხელს წამკრავს, და როგორც ძველად მშვენიერი კლეოპატრა არა ნაკლებ მშვენიერ ანტონიოს,-სარეცელისაკენ მიმიხმობს. მეორედ, ის არღვევს ჩემს სიმდიდრეს, როგორც ფრანგი კოკეტკა. მის ჩემდამი სიყვარულს ყველაფერი მსხვერპლად შევსწირე: კარიერა, სახელი, კამფორტი. მისი წყალობით ჩამოგლეჯილი და

საარჩევნო



ტრიბუნა კადეტისათვის.

ტრიბუნები.



ტრიბუნა ბურჟუისათვის.



ტრიბუნა ანარქისტისათვის.

შიშველი დავდივარ, ვცხოვრობ იაფ ფასიან სახლებში, ვსაზრდოობ დომხალით, ვწერ, მკრთალი მელნით. ყველაფერს, ყველაფერს ნთქავს ის გაუმაძღარი! მე ის საშინლად მძაგს, მეზიზღება... მე დიდი ხანია უნდა გავყროდი მას, მაგრამ თუ ვერ გავეყარე არა იმისთვის, რომ მოსკოვის ვექილები გაყრისთვის ოთხი ათასს მანეთს ღებულობენ, არა... შვილები ჯერ არ გვყავს. მაგრამ იქნებ გსურთ მისი სახელის გაგება? სიამოვნებით გეტყვით! ის ცოტა არ იყოს ეოეტურია და მოგვაგონებს სირინოზს, სირს, ზარას... მას ეძახიან **სიზარმაცეს.**

პოდბიპენტა

მღვდელ-დიაკვნის საჩივარი

დიაკვანმა უთხრა მღვდელსა:
მამავ, რა გვემართებაო,
არც ქორწილია, არც ნათელა,
აღარც არავინ კვდებაო.

მღვდელმა მიუგო პასუხათ:
—გული ნუ გაგიტყდებაო,
მალე ხილერა გაჩნდება
მაზანდა გაგვეხსნებაო.

ჩაფიქრდა თავი დიაკვნის:
მაზანდა რასა მრჩებაო:
თვეში ერთ მკვდარსა დავმარხავთ
ისიც ნისიათ რჩებაო.

მღვდელი თავისას ინაღდებს
დიაკვანს ეკარგებაო,
ქელეხშიც რიგზე გაძღება
ტაბლაც შინ ეგზავნებაო,

საბრალო დიაკვანია,
ხაშლამაზედა *) კვდებავო
თუ სადავითნოს მისცემენ
წყალობაც ის იქნებაო

*) ეს ლექსი დაწერილია იმ დროს, როცა ხაშლამის აგდებულათ მოხსენება შეიძლებოდა. დღეს რასაკვირველია ასეთი კაცთ ხაშლამის შესახებ შეუწუნარებელია.

ეშმაკი.

გაოენებამდის ბუტბუტებს,
მკვდარს თავით მიუჯდებაო,
მღვდელი კი სახლში ნებივრობს
მას არრა ენაღვლებაო.

როდესაც მიაქვთ მარხავენ
მსუქან ქელეხსაც მართავენ
დიაკვანი თუ ხმას იღებს
საბრალოს მაგრა ლანძღავენ

ალ. რუის-პირელი.

წერილი ს. იანეთიდან.

(ქუთაისის მაზრა)

მატარებლიდან ჩამოხვალ,
იქ სტოლი იდგომილება
ამ სტოლთან კაცი, ან ქალი
უთუოდ იჯდომილება.
მათრახი უნდა ორივეს
ნურცერთის მოგერიდება,
ერთი ხელობის არიან
არ გვმართებს მათი დიდება.
მატარებლისა ბილეთებს
1 ოჩერედობით“ ჰყიდიან.
მატარებელი რომ წავა
ხშირათ მას შემდეგ მოდიან.
და თუ ადრიან მოვიდენ
თავიანთი აქვთ წესები:
„ხურდა არ გვაქსო იციან“
სხედან თვალ დანაცეცები.
მეეტლეებსა ერიდე
ეშმაკო, შენსა ლხენასა,
თორემ შეგამთხვევს ტიალი
უზომო ცრემლთა დენასა.
იქვე ახლორე, ძმობილო,
სამიკიტნოა დებული
ღამე ჩამოხვალ, ან თუ დღე
ის მუდამ არის ღებული.
იქ მოქეიფეთ შეხვდები
მირეკ მორეკე სახლებში:

სახელს და გვარსა ნუ ჰკითხავ
გამონაოიშავს ახლებში.
იქვეა „კანცელარია“
სად კომისარი კანონსშობს,
სადაცა ძველი რეჟიმის
გვრმან მწერალი კალმოსნობს.
მათრახი იმას არ გაჰკრა
რადგან ქალარა კაცია,
უთხარი მხოლოდ ძველსა დროს
ნუ მოგვაგონებს აწია.
კოპერატივი გვერდში აქვს
სახელწოდებით „ჩვენი ცდა“
სახელს უთუოდ ღირსად სცნობ
თუ კი იქ ფეხი მიგიცდა.
ორმოცდა ათი საჟენით
შკოლაა დაშორებული
იკითხეთ მასწავლებელი
სამსონი ჩვენი, ქებული
მათრახი გაუწკაპუნე
სხვა ფრივ კამათი მეტია
თუ მოგიღიროს „ლივერი“
შეუნდე, ბავში ცეტია,
შესაშინებლათ იქნება
გუშინ დასცალა ტყვიები,
ქუჩაში რომ მიდიოდა
ღვინისგან შენამხიები.

აქაური.

ღვინო

(კახეთისთვის)

სცენა ერთ მოქმედებათ

მოქმედება სწარმოებს სოფლის გარეთ, რკინის გზის სადგურის მახლობლათ, მიკიტნის დუქანში.

მომქმედი პირნი:

- არტო — მედუქნე.
- საშა — მე 6 კლასის გიმნაზიელი.
- მიშა — სტუდენტი.
- შალვა — აზნაური.
- ვართანა — მეჩექმე.
- მიტრაფვანა — მეისრე.
- შაქრო — დუქნის ბიჭი.

არტო. (საღამო ხანია! მარტოთ სდგას დუქანში. ხელში ჯაჭვზე გამობმულის გასაღები უჭირავს და სალოკ თითზედ ატრიალებს). ვაა, ვისაც კი ცოტა მარიფათი აქ, პირძაღლი ვიყო თუ ამ დროში კახეთისთანა ფულის მოსაგები ალაგი ევროპაში იყოს. არა, მე შენ გითხრა წარა მარათ სალდათებმა პაგრომი არ მიყონ, აი!. Здесь ни царски колодци... ღმერთმა ააშენოს ჩემი მუშტრის ოჯახი. კრუგომ მირნი ხალხია ვა, ან რა ზლო შეუძლიანთ რკინის გზის სლუჟანჩიკებს? მართალია, ხან და ხან ჩემი გიჟი კნიაზები მაჯავრებენ, ჰამა ეს ხომ პუსტიაკია. ვარ ჩემთვის სვეჟი ვოზდუხზე დავიგებ ოხრათ.

(შემოდიან საშა, მიშა, შალვა და ვართანა)

საშა, მიშა, შალვა და ვართანა (ერთად) გამარჯობა, არტოჯან!

არტო. ოჰ გაგიმარჯოთ ჩემო გვრიტებო. რას მიირთმევთ გენაცვალეთ სახეში?

ვართანა. რას მივირთმევთ, შე კაი კაცო, გონია ჩვენც ახლად გამოცემული ას თუმნიანები გვილაგია ჯიბეში. (თან უახლოვდებიან მაგიდას და სხდებიან).

არტო. ვაი, მე თქვენ გენაცვალე, მე თქვენი სამხთო ვიყო, ნეუჟელი მე თქვენისთანა ჟორჟი-

კებს ფულს არ ვენდობი? თქვენ ბრძანეთ რა მოვართოთ...

შალვა. ვის აჰყოლიხარ არტოჯან! ას თუმნიანი თუ არა, დავიჯეროთ ერთი ორი ხუთ მანეთიანი აღარ გვიგდია?.. მოგვიტა ჯერ ჯერობით ორი ბოთლი სანამ გასაფცქვნელი ვინმე შემოყოფდეს თავს.

არტო. შაქრო! (შემოდის ბიჭი) ორი ბოთლი ღვინო მაართვი ამ ბულბულებს თავის ზაკუსკით.

მიშა. შაქრო, მაშ ერთი შამფური მწვადიც შეგვიწვი ბარემ. (შაქრო მოდის და საჩქაროდ მოაქვს ორი ბოთლი ღვინო და თეფშით „ზაკუსკა“).

შაქრო. კნიაზჯან, მწვადიც მალე იქნება.

ვართანა. (ისხამს ღვინოს) ვაა, რა ღვინოა .. კანიაკი რაღა, ·ანიაკი. ვინც არ დალევს დედა მოუკვდება.

შალვა. (იღებს ჭიქას) მაშ ღმერთმა აცოცხლოს ამ დუქნის კეთილი ანგელოზი.

საშა-მიშა ვართანა. იღებენ (ჭიქებს) ამინ. (სვამენ).

საშა. Вино. хорошое.

მიშა. კარგია მხოლოდ ჩადის გემო აქვს.

ვართანა. (ასხამს ღვინოს) მაშ იცით რას ვიტყვი ძმებოჯან .. ღმერთმა აცოცხლოს ის კაცი, რომელიც რომა ჩვენზე ავს გაიგონებს და კარგს კი იტყვის (სვამს).

საშა, მიშა და შალვა ამინ. (სვამენ თან ასხამენ) (შემოდის მიტროფანა).

მიტროფანა. Здорово, Арто! дай мнѣ стаканчикъ. (არტო უსხამს ღვინოს, მიტროფანა დალევს, და სდგამს ჭიქას.

მიტროფანა. Вотъ понимаю вино! (იღებს საფულეს, ხსნის და აძლევს არტოს სამიანს რომლის გარდა სხვაც ბევრი უჩანს ფული).

(არტუა მიუბრუნდება დახლს ხურდისთვის)

შალვა. (ვართანას) ბიჭო, ეს რუსი რა შესაკერია და...

ვართანა. ჰა, უჩხავის?

შალვა. ოხრათ უჩხავის, ოხრათ.

(არტო ხურდას აძლევს მიტროფანს. ამ დროს ადგება ვართანა და დიდი ხმით ამბობს სადღეგრძელოს, რითაც იქცევს უკანასკნელის ყურადღებას).

ვართანა. Товарищи! За здорови наши революци, дай Богъ штобы какъ дасихпоръ всяки началикъ станція и такъ дали сидитъ на шея наши товарища (ხელს იშვერს მიტროფანისკენ) теперь самъ рабочи сидитъ такъ на шей началика. (სვამს და ჯდება, მიტროფანა გაშტერებული შესცქერის).

საშა, მიშა და შალვა. Дай Богъ (სვამენ).

ვართანა. (ცოტა ხნის მერე მიუბრუნდება მიტროფანს) Товарищъ! если можна на стаканчикъ винца, пожалуста (თან ასხამს).

შალვა. არტო! ორიც მოიტა. მიტროფანა მაგიდას უახლოვდება, ვართანა სთავაზობს ღვინოს. ამავე დროს არტოს მოაქვს სკამი და ჭიქა მიტროფანასთვის).

მიტროფანა. (ართმევს ჭიქას) Ну товарищи, будьте здоровы, სცლის დ აპირობს წასვლას).

ვართანა. Товарищи, ми тоже рабочи люди, садись снамъ если можна будимъ вмести сегодни кушитъ. (შაქრო მოიტანს ღვინოს და მწვადს თავის პურით და გავა).

მიტროფანა (გადახედავს მწვადს). Пожалуйста, съ удовольствіемъ (ჯდება).

შალვა (ასხამს ღვინოს ღიმილით) მოიდა ქეიფი!..

მიშა. Господа, за здоровье нашего новаго товарища. (სცლის).

საშა, შ ლვა და ვართანა. За Ваше здоравье. (სვამენ).

მიტროფანა. Спасибо, будьте здоровы. (იღებს ჭიქას და სცლის).

საშა. (შემოსძახებს, მიშა ბანს აძლევს).

„Вышли мы всѣ изъ народа
Дѣти семьи трудовой.
Братскій союзъ и свобода—
Вотъ нашъ девизъ боевой.

ვართანა (მიტროფანას). Товарищъ, мы все пилъ твои здоровья а ты нашъ нѣтъ, для этово теби следуитъ большія стаканъ, чтоби всѣ наши здоровія вмести випишъ.

მიტროფანა. Пожалуйста, съ удовольствіемъ (არტოს მოაქვს დიდი ჭიქა).

საშა (ასხამს ღვინოს დიდ ჭიქაში). ჭირშიაც ეყოფა და ლხინშიაც ამ რუსს ეს სტაქანი.

მიტროფანა (იღებს დიდ ჭიქას). Дай Богъ вамъ всѣмъ здоровья. (სცლის, ცოტა ხნის შემდეგ უცებ დაიძახებს) Арто! Дай намъ бутылокъ шесть винца. (არტოს მოაქვს ექვსი ბოთლი, თან ეკითხება მიტროფანს). Что ищо прикажишъ душа джанъ?

მიტროფანა. Говорить нужно? Дай намъ чѣмъ нибуть позакусить. (არტო მირბის და თვითონ მოაქვს საჩქაროთ სინით ქათმის ხორცი თანაც პური).

შალვა (შეხედავს ქათმის ხორცს). მოიდა ქეიფი!..

ვართანა. Товарищи, за здорови эти секунди, которои секунда ми увидиль Митрофанъ (სვამს). Ви тоже безъ капли.

საშა, მიშა და შალვა. ამინ—(სცლიან ჭიქებს).

მიტროფანა. Спасибо за любезность (სცლის ჭიქას, ნახევარი ნიკაპზე ეღვრება).

მიშა (მღერის მარტოთ, სხვები ქათმის ხორცს შეექცევიან).

Пришли мы всѣ веселиться,
Митрофанъ нашъ дорогой!
Вино, шашлыкъ и курица—
Вотъ нашъ девизъ боевой.

(სიმღერის შემდეგ არტო ეკითხება მიტროფანს, რომელიც უკვე მთვრალია).

არტო. Митрофанъ джанъ, я твой жертва буду, что ищо изволишъ?

მიტროფანა. Дай, все что есть только. (არტუა სიხარულით თვითონ გადის მოსატანათ მეორე ოთახში. ამ დროს ვართანა გადაეხვევა მიტროფანას და ალლის უბიდან საფულეს. იღებს მთელ ფულს და ცარიელს უდებს უბეში).

შალვა. აბა თითოც ძმებოჯან! Митрофанъ, что вы задумались... пьемъ...

მიტროფანა (იღებს ჭიქას). Товарищи... знаете... что... я... сна... а... ж... ж... (ენა უდგება. აღარ ათავებს სიტყვასა და სვამს).

ვართანა, მიშა, საშა და შალვა. Дай Богъ (სვამენ).

(არტოს მოაქვს მწვადი სინით).

შალვა (მწვადის დანახვაზე). მოიდა ქეიფი!.. (თანაც უსტვენს კინტოურს და ხელებით კი უკრავს მაგიდაზე).

ვართანა, მიშა და საშა (თამაშობენ ჯერჯერით).

მიშა (მიტროფანს, რომელიც სკამზე სძინავს). Что уже пьянъ товарищъ?

მიტროფანა (გაახელს თვალებს) Кто пьянъ?.. Арто! дай дюжину винца. (არტოს მოაქვს 8 ცარიელი და 4 სავსე ბოთლი ღვინო).

მიტროფანა (იღებს ჭიქას). За здоровье... тѣхъ... кто... (ვეღარ ათავებს და სვამს. სვამენ დანარჩენებიც, რომელნიც უკვე მთვრალები არიან).

საშა, მიშა და შალვა (ერთმანეთს) წავიდეთ ხეირი აღარ არი.

ვართანა. არტო!

არტო. ჰაჯან!

ვართანა. რა გერგება, არტოჯან!

არტო. (ანგარიშობს) ოთხი ბოთლი მანეთნახევრობაზე 6 მან. ორი გირვანქა სამწვადე თავის ნახშირით 7 აბაზი, პურიც თავის ისემით სამი აბაზი. სულ 8 მან ესე რადა ვართანჯან თქვენგან სულ 8 მანეთი.

ვართანა (ყასიდათ). არტოჯან, გინდა მთელი დანახარჯი მე გაგისწორდე. იქნებ ამ რუსმა გაგაჯანჯლოს.

არტო. ვაა, რასა ბრძანებ? ვაიმე, ვაიმე, მოგიკვდე თუ ეგ ვიკისრო. მე ვიცი და მაგ რუსმა.

ვართანა (მოპარულ ფულიდან აძლევს არტოს თუმნიანს). აჰა, არტოჯან თუმნიანი მიიღე. ხეირი ნახე.

არტო. მადლობელი ვარ, თქვენი თავი მიცოცხლოს...

ვართანა. (ამხანაგებს). წავიდეთ ძმებოჯან (მიდიან და თან მღერიან: Пришли мы всѣ веселиться... დუქანში რჩებიან არტო და მიტროფანა, რომელსაც სიმღერაზედაც აღარ გამოეღვიძა).

არტო. აბა ახლა ამ ხახოლას მოვთხოვო რაზჩოტი და. (ანგარიშობს) 18 ბოთლი ორ მანეთობაზე—36 მანეთი, ერთი ქათამი ოთხი გირვანქა მწვადით თავის ნახშირათ 8 მან. ხვალე დილათაც პოხმელიაზე ერთ-ორ არაყს დალევს ესეც მანეთი სულ 45 მან. იფ... ვაჭრობაც ესე უნდა... მე და ჩემმა ღმერთმა. (თან უბიდან ალლის საფულეს, მაგრამ დაინახავს რა შიგ არაფერია გაშეშდე-

ზა) ვაჰ, ჟრრიი ჰაოო!.. ეს რა ოინი მიყვეს ჩემმა ჟორჟიკებმა ვერ უყურებ? ვა ჩქარა მაინც გავათრიო ეს ოხერი აქედან. არავინ დაინახოს. ჰამაც ეგონებათ მე გავცარცვე. (აღვიძებს) მიტროფან! სლუში, მიტროთან!

მიტროფანა (თვალებ დახუჭული). Что... такое!..

არტო (ჯავრი მოსდის). ვა, ты думишъ многа буду говорить штоли (ავლებს ხელს და მიათრევს კარებთან, საიდანაც ჰკრავს ხელსა და კარში აგდებს, ისმის მიტროფანის ხმა). Что толкаешься саленый чертъ.

ჯიბრილა.

ქართველ მწერალთა მოწოდება

ბუნების კალთაზე ტურფა სასძლოსავით მორთულა სხივ-ფენილი სამშობლო შენი.

უზარმაზარი მთების დიდებული ყინულის ჯილა ათას-ფერად ბრწყინვალებს მზის სხივებზე და თოვლის უბიწო, თეთრი ლეჩაქი მის დაფენებათ კოხტად გადაფარებია. ამ მთების ჩიხტსა უშველებელი, მწვანე ტყეების ზურმუხტი ძვირფას ქინძისთავად ზედმისდგომია, ხოლო ქვევით ვერცხლისებური კამკამა მდინარეები, ვით ოქსინოს ძვირფასი სარტყელი, ორ-ტოტად გაყოფილი, მიმჩქეფარებს. მთელი კაბა მწვანე ხავერდისაა, ხოლო ზედ ბუნებითის ხელოვნებით ამოქარგულია მრავალფერი ვარდი და ყვავილი. ქოშებს კი თავის ღრმა ფსკერიდან ამოტანილი მარგალიტებით შავი ზღვა რთავს და ჰკაზმავს.

და აქ გაჩენილხარ შენ, საქართველოს შვილო: ლამაზი, ჰაეროვანი, გონიერი და ნიჭით შემკული.

ხოლო გაჩენიდანვე შეგყვარებიან ტრფიალი მშვენიერებისა.

ეს ყოფილა შენი გზად-მყვანი, მაცოცხლებელი და ზოგჯერ დამტანჯველიც—ეს მშვენიერების ტრფობა.

ეს გაკილექსია, ეს გიმღერია, ამაზე გიწერია, მისთვის გიცეკვნია, მისთვის გიხატავს და გიშენებია.

ამას ამბობს შენი ზღაპარი, ამას მოუთხრობს შენი წიგნი, ამის მოწმე და მაკურთხეველია შენი ცამდე ასხლეტილი, ტან-წერწეტა, კოხტა ტაძრები, ამასვე ბგერს შენი რძლისპირნი და სუფრულ-მაყრულები.

აბესალომ და ეთერის გულ-მომწყვლელ ამბიდან რუსთაველის ქნარამდე ამაღლდი და შემოქმედი ხელმწიფებით გადმოგვეც დიადი ტრფობა შვენებისა: უზენაესი მადლი სიყვარულისა.

ხოლო ყოველთვის ცისკროვანი არ იყო შენი ბედი. და აი შენი ცხოვრების ღრუბლებზე შენვე შეთხზე უკვდავი ლეგენდა ამირანისა!

ეს იყო შენი სულის კვნესა: გმირული ამოოხვრა და იმავე დროს შვება შენი განსაცდელის ჟამს.

როდესაც ხელს არავინ და არაფერი არ უშლიდა შენს მოწოდებას არც გარეშე და არც შინა მტერი, მაშინ შენი შემოქმედება იყო მკვეთრი და გრძნობს ამმაღლებელი. მაშინ გევლინებოდნენ ნიჭიერნი შვილნი ყოველს სფეროში შენის არსებობისა, სრულად და ფართოდ ხმარობდი ბუნების მიერ მომადლებულ ამა მაღალთა ნიჭთა და იყავ ძლიერი კულტურით.

გარნა, როდესაც გარეშე მტერი დაგჩაგვრიდა, ან შინა გახეთქის და დაქსასვის ჰირი მოგედებოდა, მაშინ ეცემოდა შენი ლექსთა წყობაც შენი ტაძრების მწყაზრული აღნაგობაც—ძველებურად ველარა ჰქმნიდა შენი მხატვრობა, შენი ფერთა სღებავები, შენი მწიგნობრობა, შენი მუსიკალობაც და ხელოვნებაში ღონე მიხდილი, სუსტი იყავ მეცნიერებაში, უძლური სახელმწიფო ცხოვრებაში. აღარც მაღალ-ნიჭიერი სარდლები, აღარც ფილოსოფოს პეტრიწები, აღარც წინასწარმეტყველურად სულთ ახოვანი გიორგი მთაწმინდელები და აღარც ხელოვნების მეუფე რუსთაველი.

იღრუბლებოდა შენს ცხოვრებაში, ღამდებოდა და მხოლოდ და ოხვრით იხსენიებდი კვლავ ამირანსა.

მაგრამ ისე მაინც არასოდეს არ შეჰოლამებულა, როგორც მთელი წარსული საუკუნის განმავლობაში, რუსთმ ბატონობის დროს:

შენი ტაძრები ჩამო ნგრა, საუცხოვო ნაგები ციხე-დარბაზი განადგურდა და გაუქმდა, კედლის ძვირფასი მხატვრობანი წაიშალა და შეიბღალა,

თავისებურობით აღბეჭდილი ჩუქურთმები და ხრახნილები მოირღვა, ბექა ოპიზარისა და მისებრ მაღალ ნიჭიერ ხელოვანთა მიერ ნაჭედი და ჩამოსხმული განძეულობანი გაიბნა და წარტაცებულ იქმნა სხეულის მოხდენილი და მორგებული სამოსი-სამკაული მივიწვდა, სიმღერა და ცეკვაც გადაგვარდა. თვით ენა ჩმინდა და ფაქიზი შეირყვნა და მწერლობამაც იწყო აზროვანება სხვისებური, უცხოური, დაჰკარგა თავის თავადობა. ხელოვნებაში მშვენების ღმერთის ნაცვლად მოძალადე დეზებიანები ვინმე წამოჯდა მაღალ კვარცხლ-ბეკზე.

დაჰკარგე შენი სახე უსახური იქმენი.

ეს იყო ყველა შენ მიერ გაღეაულ მსხვერპლზე, უსაშინელესი, ყველა შენ მიერ რანთხეულს სისხლზე უმწვავესი.

შენ სულიერ მონად გახდი.

ამის გარდა, რომ უზარ-მაზარ რუსეთის დამცირებულ გუბერნიებათ იქეც, შენ სულიერადაც მისი პროვინცია შეიქმენ, რადგანაც ჩრდილოელის ქუსლ დალურსმული, ტლანქი საღა მოხვდა შენს ახოვან მკერდს, წააქცია და საკორტნავათ თვითმპყრობელობის ორთავა არწივიც მოგენდო.

შენც ისე გამოიცვალე, ისე მოდუნდი, რომ ზოგჯერ ვერცა გრძნობდი რა საშინლათ ჰკორტნიდნინ შენს სხეულს...

ეხლა ძლივს ასრულდა თვით რუსის ხალხის საუკეთესო წადილი თვითმპყრობელობა დაემხო და შენც მოგშორდა ის ორთავა არწივი...

ყოველივე ის, რითაც ამაყობდი შენს წარსულში და რაც სამუდამოთ ამართლებს შენს სამშობლოს მსოფლიოს წინაშე, გავალებს დღესვე გადასწყვიტო ბედი შენის მომავლისა.

ისტორიის შეუწყვეტელმა ტანჯვამ ვერ ჩაკლა შენი გმირული სული, რომელსაც არასოდეს არ სჭირდებოდა გაცოცხლება ისე, როგორც დღეს.

ჩრდილოეთის ნისლი უნდა ჩამოსცილდეს შენი ქვეყნის მხურვალებით სავსე მზეს და მის უხვად დაფანტულ სხივებ ქვეშ უნდა იგრძნო განახლებული ბედნიერება.

ჩვენ წილათ გვხვდა მადლიანი სიტყვით ვიყოთ გამომსახველი შენი წმინდა გრძნობისა, შენი ფერადი ოცნების, შენი მწუხარების და სიხარულისა. მაგრამ მეტად საგრძნობი იყო შენი უკანასკნელი საუკუნის უბედურება, რომ მას უფერობის ბეჭედი არ დაესვა ჩვენი შემოქმედებისათვის...

ჩვენ მზათ ვართ ვიდღესასწაულოთ დასაწყისი შენი სიხარულის და განახლებისა.

ისმინეთ ჩვენი აღსარება:

არავის და არაფერ არა სჭირდება თავისუფლები ისე, როგორც ხელოვნებას.

სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ირილობა მხურვალე სალამით მოგმართავს შენ, ქართველო ერო, და მოგიწოდებს იხსნა შენი თავი ხანგრძლივ ტყვეობისაგან, გაცოცხლო შენი ენა, აღადგინო შენი უფლება, რაინდობა და კეთილშობილი სიამაყე და ჩვენც მოგვცა საშუალება ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი წმინდა მოვალეობა შენსა და უსაყვარლეს სამშობლოს წინაშე.

P. S. დიახ, საყვარელო სამშობლოვ, თვით ეს მოწოდება ნათელყოფს შვილთა შენთა დაკნინებას და უსუსურ ქმნას. ლამაზ სიტყვათა კორიანტელში გახვეული ქართველ მწერალთა კავშირს გარნა შეუძლია სძლიოს ძვალ-რბილში გამჯდარ ჩვეულებას და სიტყვებით არ ჩაჰქოლოს ვისაც მიზანში ამოიღებს? აბა წაიკითხე, ქართველო ერო, ნაცარქექია შვილთა ესე მოწოდება შენდამი და სთქვი: არის იმედი მათი გადარჩენისა, თუ არა. მე კი ეს იმედი უკვე დამეკარგა.

ეშმაკი.

სალდათი. განა გასაკვირია, რომ ასეთი ფრონტის წინაშე უკან დახევა გვიწევს?

რედაქტორი ეშმაკი. სტამბა ვ. რუხაძის, გამზევის შესახვ. № 1.